DisboPOX W 442
2K-EP-Garagensiegel

კარბონის ბოჭკოებით გაძლიერებული, 2 კომპონენტიანი ეპოქსიდის ფისის - იატაკის საღებავი. გარაჟების, საწყობების და სარდაფების იატაკების მოსაწყობად.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები	ინტერიერში გამოსაყენებელი ეპოქსიდური საღებავი მინერალურ და ასფალტის ზედაპირებზე. დაბალიდან საშუალო დატვირთვებისადმი მედეგი. კარგია კერძო მოხმარების, ინდუსტრიული და სავაჭრო სივრცეებისთვის. ეკოლოგიურობიდან გამომდინარე კარგი გამოსაყენებელია ლაუნჯებში, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში.
თვისებები	■ ორთქლდიფიზიური ■ დარტყმის მიმართ მედეგი ■ წმენდის მაღალი უნარი ■ დატვირთვების მიმართ მედეგი ■ ცვეთამედეგი ■ ტექნიკური მარალისადმი მედეგი ■ მდგრადია საწვავის და ძრავის ზეთის მიმართ ■ საბურავის მიმართ მედეგი ■ შემცირებული ემისიები შემადგენლობაში, (AgBB-konform & Eurofins IAC Gold Certificate)
მასალის შემკვრელი	წყალზე დაფუძნებული 2 კომპონენტიანი ეპოქსიდური ფისი.
ფერი	5 კგ პლასტმასის კომბინირებული კონტეინერი: ■ დაახლ. RAL 7023 (Betongrau) ■ დაახლ. RAL 7032 (Kieselgrau) 10 კგ პლასტმასის კომბინირებული კონტეინერი: ■ დაახლ. RAL 7023 (Betongrau) ■ დაახლ. RAL 7032 (Kieselgrau) ■ დაახლ. RAL 7027 (Staubgrau) 5 კგ და 10 კგ ColorExpress (პლასტმასის კომბინირებული კონტეინერი ბაზა 1 ან ბაზა 3): ■ სასურველ ფერში კოლირება შესაძლებელია ColorExpress-ის სადგურებზე პროდუქტის შეფუთვა არ არის შესაფერისი საღებავის მომრევი აპარატისთვის. პიგმენტური პასტა უნდა ურიოთ ნელი მბრუნავი სარევით (მაქს. 400 ბრ/წთ) - ერთგვაროვანი ფერის მიღებამდე, ზოლების გარეშე.
სიპრიალის ხარისხი	პრიალა
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ და მშრალ ადგილას, მოარიდეთ ყინვას. ორიგინალ/დახურულ შეფუთვაში - პროდუქტის ვარგისიანობის ვადა სულ მცირე 2 წელია. შეინახეთ დაახლ. 15°C - 20°C ტემპერატურის პირობებში.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმკვრივე/სიმჭიდროვე: დაახლ. 1,4 გ/სმ3
- მშრალი ფენის სისქე: დაახლ. 35 µm/100 გ/მ²
- დიფუზიის მიმართ წინააღმდეგობის მაჩვენებელი µ (H2O): დაახლ. 20.000
- გაცვეთის მაჩვენებელი ტაბერის მიხედვით (CS 10/1000 U/1000 g): 66 მგ/30 სმ²

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

მინერალური ზედაპირები: ბეტონი, ცემენტი, ბათქაში, ქვის (აგურის) წყობა, მყარი ასფალტი შიდა სივრცეებში და მზიდუნარიანი ძველი დანაფარების მქონე იატაკის ზედაპირები. ზედაპირები უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან. ზედაპირს უნდა ჰქონდეს დატვირთვის უნარი, ჰქონდეს სტაბილური ფორმა, იყოს მყარი, თავისუფალი ფხვიერი ნაწილაკებისგან, მტვრისგან, ზეთისგან და ცხიმებისგან. ზედაპირის გაჭიმვის სიძლიერის ყველაზე მცირე ერთეული მნიშვნელობა არ უნდა იყოს 1.0 N / მმ2– ზე დაბალი. ზედაპირებმა უნდა მიაღწიონ თანაბარ ტენიანობას (ბეტონი და ცემენტი: მაქს. წონის 4% (CM-ის მეთოდი)).
მყარი ასფალტის ზედაპირი უნდა შეესაბამებოდეს სიმკვრივის კლასს - IC 15 და არ უნდა დეფორმირდეს მოცემული ტემპერატურის პირობებში და მექანიკური დატვირთვების დროს.

ზედაპირის მომზადება

წყლის ჭავლების საშუალებით ან მშრალი მექანიკური წესით დანაფარის საწინააღმდეგო მიმართულებით მთლიანად მოაცილეთ ატკეცილი ფრაგმენტები, ჭუჭყის ნალექი, ხავსი და წყალმცენარეები. გაწმენდის შემდეგ ზედაპირი უნდა იყოს მყარი, სუფთა, მზიდუნარიანი და ანტიადჰეზიური ნივთიერებებისგან თავისუფალი. ფორები და ღრუები უნდა გაიხსნას, ზედაპირს უნდა ჰქონდეს წვრილმარცვლოვანი სტრუქტურა.
მყარი ასფალტის საფარის შემთხვევაში, მომზადებამ უნდა აჩვენოს აგრეგატის მინიმუმ 75%.
აუცილებლად მოაშორეთ ძველი 1 კომპონენტიანი საღებავები და ფხვიერი 2 კომპონენტიანი დანაფარები.

მასალის მომზადება

კომპონენტი A აურიეთ. კომპონენტი B (გასამყარებელი) დაამატეთ კომპონენტს A (ძირითადი მასა) და კარგად აურიეთ, ნელა მბრუნავ სარევში (მაქსიმუმ 400 U/წთ.) მასალა გადაიტანეთ სხვა ჭურჭელში (სცავში) და კვლავ საფუძვლიანად აურიეთ (არ გამოიყენოთ პირდაპირ ორიგინალი კონტეინერიდან). საჭიროების შემთხვევაში, ნელა დაამატეთ DisboADD® 947-ის საჭირო რაოდენობა.

შერევის კოეფიციენტი

კომპონენტი A : კომპონენტი B = 84 : 16 წონა.- წილი.

დატანის მეთოდები

მასალის დატანა შესაძლებელია ფუნჯით, გორგოლაჭით (ფაქტურიანი პოლიამიდის გორგოლაჭი, ბეწვის სიმაღლე: 11მმ) ან უჰაერო მიფრქვევის დანადგარით (Airless, ფილტრის გარეშე, ნახვრეტის სისქე: 0,015–0,017ინჩი, მიფრქვევის კუთხე: 45°, წნევა მიფრქვევისას: არა ნაკლებ 50 bar-სა, გორგოლაჭის გადატარება აუცილებელია).

დაფარვის სტრუქტურა

საგრუნტი დანაფარი
მაღალი შეწოვის უნარის მქონე ზედაპირები დაგრუნტეთ საგრუნტავით: DisboPOX® W 443 ან DisboFLOOR® 420 E.MI PLUS. ზომიერი ან სუსტი შეწოვის უნარის მქონე ზედაპირები დაგრუნტეთ 5-10% წყლით გაზავებული DisboPOX® W 442-ით. არაშემწოვი ზედაპირები, როგორიცაა: ძველი დანაფარები და მყარი ასფალტი - უნდა დაიგრუნტოს წყალთან გაზავების გარეშე.

უხეში ზედაპირის გასათანაბრებლად, შეგიძლიათ გამოიყენოთ დაფითხვის მეთოდი (იხილეთ DisboFLOOR® 420 E.MI PLUS -ის ან DisboPOX® W 453-ის ტექნიკური ინფორმაცია).

მცირე დეფექტებისა და უსწორმასწორობის შემთხვევაში, მოამზადეთ ფითხის მასა შემდეგი პროდუქტებიდან:
DisboPOX® 442 GaragenSiegel: თანაფარდობით: 1 წონა.- წილი,
DisboADD® 942 Mischquarz: თანაფარდობით: 1 წონა.- წილი,

საბოლოო დანაფარი
დაიტანეთ შუალედური და დამასრულებელი ფენები გაზავების გარეშე.
მოცურების წინააღმდეგობის გასაზრდელად, ბოლო ფენას დაუმატეთ 5 წონა-% პროდუქტი:
DisboADD 947 Glasperlen fine-ი (მინის ბურთულები)

ზედაპირის დეკორატიული გაფორმება
DisboADD® 8255 Farbchips 1 - 2 მმ ან
DisboADD® 948 Farbchips 2 - 4 მმ (გაშრობის შემდეგ დაიტანეთ პროდუქტი: DisboPUR® W 458)

ხარჯი

საგრუნტი ფენა	
მინერალური ზედაპირები DisboPOX W 443	დაახლ. 200 გ/მ²
მყარი ასფალტის, სუსტად შემწოვი ზედაპირები DisboPOX® W 442 5–10 % წყლით გაზავებული	დაახლ. 200 გ/მ²
დაფითხვა	
მცირე დეფექტები: DisboPOX® W 442 GaragenSiegel DisboADD® 942 Mischquarz *მოცურების წინააღმდეგობის გასაზრდელად:* DisboADD® 942 Mischquarz	 დაახლ. 1,1 კგ/მ²/მმ დაახლ. 1,1 კგ/მ²/მმ დაახლ. 1,5–2 კგ/მ²
უხეშ-ფოროვანი ზედაპირები:	
DisboPOX® W 453 DisboADD® 942	დაახლ. 1.040–1.200 გ/მ²/მმ დაახლ. 210–240 გ/მ²/მმ
ძირითადი დანაფარები DisboPOX® W 442	დაახლ. 230–250 გ/მ² თითო დატანა
მოცურების საწინააღმდეგო დანაფარი DisboPOX W 442 DisboADD® 947 SlideStop Fein	 დაახლ. 180 გ/მ² R 9 - დაახლ. 3,6 გ/მ² (2 წონა.%) R 10 - დაახლ. 9 გ/მ² (5 წონა.%)
ზედაპირის დეკორატიული გაფორმება	
"ჩიპსების" მოფანტვა, დამატებითი დაფარვის გარეშე: DisboADD® 8255 Farbchips, 1 - 2 მმ (Fast Chips)	დაახლ. 30 გ/მ²

ზუსტი მოხმარების ხარჯი სამუშაო ადგილზე უნდა განისაზღვროს. დამასრულებელი დანაფარების დატანისას, მასალის ხარჯი განსხვავდება - ტემპერატურის, გამოყენების მეთოდის, ხელსაწყოს და სხვადასხვა დამატებითი მასალის გავლენის გამო.

გამოყენების დრო

20° C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში დაახლ. 90 წუთი. მაღალი ტემპერატურის პირობებში გამოყენების დრო მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება.
ვარგისიანობის ვადის ამოწურვა ვიზუალურად ამოსაცნობია სიბლანტის შესამჩნევი ცვლილებით.

გამოყენების პირობები

მასალის, ცირკულირებადი ჰაერის და ზედაპირის ტემპერატურა:
მინიმალური - 10 ° C, მაქსიმალური - 30° C.
ჰაერის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 80%.-ს. ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ 3° C-ით უნდა აღემატებოდეს ნამის წერტილის ტემპერატურას.
შრობის დროს იზრუნეთ სამუშაო სივრცის მუდმივ განიავებაზე, ვინაიდან წყლის აორთქლებამ შესაძლოა გამოიწვიოს ჰაერის ტენიანობის ზრდა. მოერიდეთ ორპირს.

სამუშაო პროცესებს შორის ლოდინის პერიოდი

20° C ტემპერატურის პირობებში:
მინიმალური - 16 საათი, მაქსიმალური - 48 საათი. ეს ასევე ეხება პიგმენტირებულ, დიფუზიურ დანაფარებს. უფრო ხანგრძლივი ლოდინის შემთხვევაში, ზედაპირი უნდა გაიშლიფოს შემდგომი ფენის დატანამდე. მაღალი ტემპერატურის პირობებში ლოდინის პერიოდი მცირდება, ხოლო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში იზრდება.

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 60%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 16 საათში. შრება და მზადაა დატვირთვების ასატანად 7 დღეში.
უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.
გამყარების/გამაგრების პერიოდში, დაიცავით დატანილი მასალა ტენიანობისგან - წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა დაზიანდეს ზედაპირი და შემცირდეს ადჰეზია.

ხელსაწყოების წმენდა

სამუშაოს დასრულებისას, ან ხანგრძლივი შესვენების დროს, ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გარეცხეთ წყლით.

მითითებები

მომიჯნავე ზედაპირებზე გამოიყენეთ მხოლოდ ერთი პარტიის საღებავები.
დაბალი გამჭვირვალობის მქონე ფერებისთვის (მაგ., ყვითელი, ნარინჯისფერი ან წითელი) შესაძლოა საჭირო გახდეს რამდენიმე ფენის დატანა. საჭიროების შემთხვევაში, პირველი ფენა უნდა იყოს მაღალი გამჭვირვალობის მქონე საგრუნტავი.

ულტრაიისფერი გამოსხივებისა და ამინდის ზემოქმედების გამო, შესაძლებელია ზედაპირზე დანაფარებმა შეიცვალოს ფერი და წარმოიქმნას ცარცი. ამიტომ აუცილებელია BFS-ის საინფორმაციო ფურცლის 25-ე პუნქტის დაცვა.

სერთიფიკატები

აქტუალური სერთიფიკატები ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.

უსაფრთხო მოხმარების წესები	პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ სამრეწველო და პროფესიული მოხმარებისთვის კომპონენტი A: იწვევს თვალის სერიოზულ დაზიანებას. გამოიყენეთ თვალის/სახის დამცავი. თვალში მოხვედრის შემთხვევაში: ფრთხილად ჩამოიბანეთ წყლით რამდენიმე წუთის განმავლობაში. თუ კონტაქტური ლინზები გაქვთ - ამოიღეთ. განაგრძეთ ჩამობანა. დაუყოვნებლივ დაუკავშირდით ტოქსიკოლოგიურ ცენტრს/ექიმს. **შეიცავს:** ეპოქსიდური ფისის ამინის ადუქტს. გაფრთხილება! შესხურებისას შეიძლება წარმოიქმნას საშიში ჩასუნთქვადი წვეთები. არ შეისუნთქოთ, მუშაობის დროს წარმოქმნილი აირები კომპონენტი B: იწვევს კანის გაღიზიანებას. შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული კანის რეაქცია. იწვევს თვალის სერიოზულ გაღიზიანებას. ტოქსიკურია წყლის ორგანიზმებისთვის ხანგრძლივი ეფექტით. მოერიდეთ მუშაობისას წარმოქმნილი ნისლის ან ორთქლის შესუნთქვას. გამოყენების შემდეგ კარგად დაიბანეთ კანი. მოერიდეთ გარემოში მოხვედრას. გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები/თვალის დამცავი სათვალეები/სახის დამცავი ნიღაბი. კანის გაღიზიანების ან გამონაყარის შემთხვევაში: მიმართეთ ექიმს/მიიღეთ სამედიცინო დახმარება. შეაგროვეთ დაღვრილი სითხე. **შეიცავს:** ბის-პროპანს, ბისფენოლ-F ეპოქსიდური ფისს, MW <700, p-ტერც-ბუტილფენილ-1-(2,3-ეპოქსი)პროპილ ეთერს.
უტილიზაცია	შიგთავსის და შეფუთვის უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად. მასალის ნარჩენები: დაელოდეთ მასალის გამყარებას და გადააგდეთ საღებავის ნარჩენებთან ერთად. დაუმუშავებელი პროდუქტის ნარჩენების და გაუწმენდავი შეფუთვის უტილიზაცია უნდა მოხდეს სახიფათო ნარჩენებთან ერთად. ნარჩენები არ უნდა მოხდვდეს ჩამდინარე წყლებში.
აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)	პროდუქტის კატეგორია (Kat. A/j): 140 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს არაუმეტეს 10 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).
Giscode	■ RE 20
CE-მარკირება	**EN 13813** DIN EN 13813 "Screed Mortars, screed compounds and screeds - Screed mortars and screed compounds - თვისებები და მოთხოვნები" (2003 წლის იანვარი) - განსაზღვრავს მოთხოვნებს ხსნაროვანი დანაფარების მიმართ, რომლებიც გამოიყენება ინტერიერის იატაკის კონსტრუქციებისთვის. სინთეზური ფისოვანი საფარები და გამჟღენთები, ასევე უნდა შეესაბამებოდეს ამ სტანდარტებს. პროდუქტები, რომლებიც შეესაბამება ზემოაღნიშნულ სტანდარტს, უნდა იყოს მონიშნული CE მარკირებით.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. **შპს კაპაროლ ჯორჯია** ალ. ქართველიშვილის ქ. N8, 0198 თბილისი საქართველო. ელ-ფოსტა: office@caparol.ge www.caparol.ge